საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი**
**საქპატენტი**

ქ. მცხეთა

"02" 12 2013 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1695/03

**სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე**

2013 წლის 15 ნოემბერს N M-15328 განცხადებით შპს „ავერსი-ფარმას" წარმომადგენელმა ირაკლი ფურცელაძემ (მის: დავით აღმაშენებლის გამზ., 148/2, 0112, თბილისი) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „COMHOЛ SOMNOL სომნოლი" (რეგ. N 15328) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „COMHOЛ SOMNOL სომნოლი" (რეგ. N 15328) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 14.11.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 14.11.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სასაქონლო ნიშანზე „COMHOЛ SOMNOL სომნოლი" (რეგ. N 15328) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N438), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 02.12.2013.

ასლს დედანთან სწორია
02 12 2013 წ.
ხელმოწერა

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

ეკატერინე ეგუტია

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „ავერსი-ფარმას" წარმომადგენელს ირაკლი ფურცელაძეს (მის: დავით აღმაშენებლის გამზ., 148/2, 0112, თბილისი)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგ. N 15328

მფლობელი: შპს „ავერსი-ფარმა“

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ., 148/2,, 0112 , თბილისი, საქართველო

კლასი: 5 - ფარმაცევტული პრეპარატები და სამკურნალო საშუალებები.